

**სახაზინო სამსახურის
ინფორმაცია
საქართველოს 2008 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2008 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 4 139 887.6 ათასი ლარი; მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებულია 3 007 187.3 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულია 500 865.2 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებულია 9 336.3 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით მიღებულია 622 498.8 ათასი ლარი.

2008 წლის იანვარ-ივლისში ფაქტიურად მობილიზებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (3 007 187.3 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის – 2 997 959.1 ათასი ლარის 100.3%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 710 271.1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 715 274.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.2%;

– გრანტების სახით ფაქტიურად მიღებული იქნა 48 675.4 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მოცულობის – 49 170.7 ათასი ლარის, 99%; მათ შორის:

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი 11 466.8 ათასი ლარი;

– ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტის აუთვისებელი თანხა – 188.8 ათასი ლარი, რომელიც დეპოზიტის სახით განთავსებული იყო ხაზინის ერთიან ანგარიშზე და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნით მიიმართა ბიუჯეტის შემოსავლებში;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 34 473.0 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 2 543.2 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება” – 566.4 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 81.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 34.7 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 240.6 ათასი ლარი; „სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე კრედიტის მოსამზადებელი გრანტი” – 69.0 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 763.7 ათასი ლარი;

„განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 642.8 ათასი ლარი; „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ახლადრეორგანიზებული სამინისტროს ინსტიტუციური უნარის გაძლიერება” – 3.5 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის კომპონენტი)” გრანტი – 78.2 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის გრანტი – 63.2 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდებზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 3.6 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 238 517.3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 243 237.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 102%;

2008 წლის იანვარ-ივლისში არაფინანსური აქტივების კლებით ფაქტიურად მიღებული შემოსულობების მოცულობამ (500 865.2 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის – 498 049.0 ათასი ლარის 100.6%.

ფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 9 336.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (9 309.3 ათასი ლარი) 100.3%.

ვალდებულებების ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 622 498.8 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან – 540 880.0 ათასი ლარი;

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტების სახით – 81 618.8 ათასი ლარი. მათ შორის:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 69 612.3 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი 3 390.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 24.3 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 43.2 ათასი ლარი; “აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II პროექტის” კრედიტი – 4 893.2 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი (api 2)” კრედიტი – 2 596.6 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის გრანტი – 1 059.1 ათასი ლარი, რომელთა ექვივალენტი უცხოური ვალუტა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, დაკონვერტირდა და მიიმართა ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით ბიუჯეტის შემოსულობებში.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 30 894.0 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართება ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 2 501.0 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის

2008 წლის 13 მაისის №425 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ; სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი საინვესტიციო პროექტები: “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი)” გრანტი – 303.7 ათასი ლარი; “დაცული ტერიტორიების განვითარების” გრანტი – 556.0 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი ფაზა ირ” გრანტი – 40.3 ათასი ლარი; „სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე კრედიტის მოსამზადებელი გრანტი – 76.1 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” გრანტი – 1 142.9 ათასი ლარი; „სოფლის განვითარების პროექტის“ გრანტი – 135.3 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” გრანტი – 237.6 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი (api 2)” გრანტი – 1 341.2 ათასი ლარი, “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (აღმძიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 48.5 ათასი ლარი; „სოფლის განვითარების პროექტის“ კრედიტი – 4 110.5 ათასი ლარი და “აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი ი პროექტის” კრედიტი – 6 875.4 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” კრედიტი – 91.4 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (აღმძიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 24.9 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი (api 2)” კრედიტი – 4 406.2 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 11 504.0 ათასი ლარი.

ასევე, ამოითიმა ხაზინის ერთიან ანგარიშზე სხვა ინვესტიციური პროექტების დასაფინანსებლად ჩაირიცხული 5 884.0 ათასი ლარი ნებაყოფლობითი ტრანსფერი, გრანტების გარდა.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 11 პროექტზე და საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 14 071.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2008 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 19 211.0 ათასი ლარი, ხოლო 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების (რომლის ასახვა მოხდა გასული წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში) გარეშე, საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯებმა – 8 606.3 ათასი ლარი. 63 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2008 წლის იანვარ-ივლისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში

ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 1 916.8 ათასი ლარი.

წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებულია 3 952.8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში თავისუფალი საბრუნავი სახსრების ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 166 468.6 ათასი ლარი (2008 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ნაშთი – 330 778.6 ათასი ლარი, შემცირდა და 2008 წლის 1 აგვისტოსთვის ხაზინის ანგარიშებზე ნაშთმა შეადგინა 164 310.0 ათასი ლარი, რომელშიც გათვალისწინებულია აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის დეპოზიტურ ანგარიშებზე 1 აგვისტოსათვის რიცხული 69 276.7 ათასი ლარი). საქართველოს ეროვნულ ბანკში აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის გახსნილი სადეპოზიტო ანგარიშიდან საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩამოიჭრა და სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო ხარჯებში გატარდა 11 750.7 ათასი ლარი.

2008 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზინის ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულ ნაშთში (164 310.0 ათასი ლარი), ასახულია ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 281.5 ათასი ლარი, რომელიც, მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

2008 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 121.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ხარჯების მართვის პროცესის სრულყოფის მიზნით, სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, 2008 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქცია. ინსტრუქცია შემუშავებულია “საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის” შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს.

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერისა და 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების თვეების და კვარტლების მიხედვით განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის №25 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2008 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 5 363 935.6 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 5 152 236.9 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 211 698.6 ათასი ლარი); ვალდებულებები რეგისტრირებულია 4 650 528.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 4 310 590.5 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 4 190 116.6 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 120 473.8 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 92.7%, ხოლო გეგმის 80.4%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2008 წლის იანვარ-ივლისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 97.2%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 2.8%.

“საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2008 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 697 269.9 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 617 064.2 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 525 940.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 85.2%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 75.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 1 249 244.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 1 126 321.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 092 228.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97%-ს და გეგმის – 87.4%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 71 967.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 52 373.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 52 373.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და ცხრა თვის გეგმის – 72.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 31 004.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (31 004.6 ათასი ლარი) 100% და საგეგმო მაჩვენებლის (41 273.1 ათასი ლარი) 75.1%-ია;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 21 368.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (21 368.7 ათასი ლარი) 100% და გეგმიური მაჩვენებლის (30 694.8 ათასი ლარი) 69.6%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2008 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 259 474.7 ათასი ლარი, იანვარ-ივლისში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 192 131.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 170 589.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 88.8%-ს და გეგმის 65.7%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2008 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 441 589.6 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ – 376 109.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (377 701.6 ათასი ლარი) 99.6% და საგეგმო მაჩვენებლის (441 589.6 ათასი ლარი) 85.2%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2008 წლის იანვარ-ივლისში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 366 439.9 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (367 598.9 ათასი ლარი) 99.7% და ცხრა თვის გეგმის (385 841.3 ათასი ლარი) 94.9%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2008 წლის იანვარ-ივლისში მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 721 441.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (877 620.7 ათასი ლარი) 82.2%-ს და ცხრა თვის საგეგმო პარამეტრის (934 806.0 ათასი ლარი) 77.2%-ს

შეადგენს. მათ შორის, სოციალური დახმარებების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 719 029.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (874 735.0 ათასი ლარი) 82.2%-ია.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განესაზღვრა 729 346.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 570 481.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.2%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 401 264.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (519 560.7 ათასი ლარის) 77.2% და გეგმის (529 161.6 ათასი ლარი) 75.8%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 155 978.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 115 886.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 74.3% და ვალდებულების (116 362.4 ათასი ლარი) 99.6%-ია.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განესაზღვრა 39 013.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 27 699.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 71% და ვალდებულების (38 702.7 ათასი ლარი) 71.6%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2008 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 358 378.1 ათასი ლარით, იანვარ-ივლისში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 291 872.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 281 745.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.5%-ს და გეგმის 78.6%-ს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 211 843.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 219 251.7 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2008 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 241 343.1 ათასი ლარი. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა ვალდებულების 96.6 და საგეგმო მაჩვენებლის – 87.8%. მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 184 475.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (189 178.3 ათასი ლარი) 97.5% და საგეგმო მაჩვენებლის (210 187.2 ათასი ლარი) 87.8%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2008 წლის ცხრა თვის გეგმით არაფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 644 484.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 451 759.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 426 785.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.5%-ს და გეგმის 66.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად განესაზღვრა 186 125.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 88 239.9 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (85 322.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 96.7% და საგეგმო მაჩვენებლის – 45.8%.

„ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2008 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 623 752.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 600 755.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 600 536.8 ათასი ლარი (მათ შორის: „სტაბილური განვითარების ფონდი“ შეივსო – 233 640.0 ათასი ლარით; „მომავალი თაობების ფონდი“ შეივსო – 307 040.0 ათასი ლარით), რაც ვალდებულების და გეგმის – 100%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების“ მუხლით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 82 969.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 62 928.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 62 838.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის – 75.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 31 019.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (31 019.1 ათასი ლარი) 100%-ია. მათ შორის: საგარეო სესხები – 26 792.7 ათასი ლარი, სხვა კრედიტორული დავალიანებები – 4 226.4 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 31 819.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (31 909.3 ათასი ლარი) 99.7%-ია. მათ შორის: ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა – 20 000.0 ათასი ლარი, სხვა კრედიტორული დავალიანებები – 11 819.6 ათასი ლარი.

“ვალდებულებების” მუხლიდან საშინაო ვალდებულებების სახით “წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის” დასაფინანსებლად, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშიდან ეროვნული ბანკის მიერ იძულების წესით ჩამოჭრილ იქნა სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხები 6 515.7 ათასი ლარი. ორგანიზაციებს, რომელთა დავალიანების დაფარვაც განხორციელდა, დავალიანებათა ჩამოწერის შესახებ ეცნობათ წერილობით.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგეგმო მაჩვენებლებს აღემატება შემდეგი დარგობრივი სამინისტროების და უწყებების ინვესტიციური პროექტების საკასო ხარჯები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „სოციალური ინვესტიციების იმ პროექტი“ (კოდი 25 06 02 03, მუხლი „სუბსიდიები“) – 987.1 ათასი ლარი; “ფოთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია” (კოდი 25 06 02 05), მუხლი „ფინანსური აქტივები“) – 2 994.9 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს პროექტები: “მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – ი პროექტი” (კოდი 27 18 01, მუხლი „სუბსიდიები“) – 177.8 ათასი ლარი; “მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – იმ პროექტი” (კოდი 27 18 02, მუხლი „სუბსიდიები“) – 663.4 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტი “ტუბერკულოზისა და ლეიკემიის კონტროლის პროგრამა (kfw)” (კოდი 35 24 05, მუხლი „სუბსიდიები“) – 88.4 ათასი ლარი; ენერგეტიკის სამინისტროს პროექტები: „საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი“ (კოდი 36 04 01, მუხლი „ფინანსური აქტივები“) – 11 016.1 ათასი ლარი; „ლაჯანურისა და ხრამხესის რეაბილიტაცია“ (კოდი 36 04 02, მუხლი „ფინანსური აქტივები“) – 755.9 ათასი ლარი; “ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი” (კოდი 36 04 09, მუხლი „ფინანსური აქტივები“) – 1 290.9 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტი “სასოფლო-სამეურნეო კვლევა, დანერგვა-კონსულტირება და სწავლება” (კოდი 37 08 03, მუხლი „არაფინანსური აქტივები – 328.6 ათასი ლარი; მუხლი „სხვა ხარჯები“ – 27.1 ათასი ლარი); საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პროექტები: „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი“ (კოდი 26 11 02 05, მუხლი „არაფინანსური აქტივები“) – 1 659.9 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი – ფაზა იმ“ (კოდი 26 11 02 07, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 298.4 ათასი ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის: „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი ილია ჭავჭავაძე“ (კოდი 32 17 01, მუხლი „სუბსიდიები“) – 445.7 ათასი ლარი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროექტი „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობათა გაზრდა 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პროცესში (UNDP)“ (კოდი 06 03 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 197.1 ათასი ლარი; „სახალხო დამცველის ოფისის დანმარების პროექტი (UNDP)“ (კოდი 40 02 01, მუხლი „სუბსიდიები“) – 4.1 ათასი ლარი.

სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში დაგეგმილია ინვესტიციური პროექტების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხაზინის მომსახურებაზე ეტაპობრივი გადასვლა, შედეგად ღონორების მიერ თანხების ჩარიცხვა მოხდება ხაზინის ანგარიშებზე და ხარჯები დადგენილი პროცედურების დაცვით გაიწევა ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2008 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 3 647 214.9 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 652 931.9 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (843 857.5 ათასი ლარი) 77.4%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 158 249.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (246 759.8 ათასი ლარი) 64.1% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 24.2%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 55 238.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (75 067.9 ათასი ლარი) 73.6% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 8.5%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 368 237.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (436 296.2 ათასი ლარი) 84.4%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 45 054.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (47 710.1 ათასი ლარი) 94.4%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2008 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 268 422.5 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 194 532.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 32.7%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 636 958.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 433 908.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 68.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.9%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 278 581.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (420 500.3 ათასი ლარის) 66.2%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 72 188.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (97 968.6 ათასი ლარი) 73.7%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (36 963.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (52 319.2 ათასი ლარი) 70.6%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 46 115.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (66 085.7 ათასი ლარი) 69.8%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 472 433.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 292 698.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 62%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (54 984.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (63 697.0 ათასი ლარი) 86.3%; სოფლის

მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (55 986.8 ათასი ლარი), გეგმის (70 944.7 ათასი ლარი) 78.9% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 65 059.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 42 377.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 65.1%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 32 453.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (38 120.1 ათასი ლარი) 85.1%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 26 920.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 905.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 36.8%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 239 719.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (116 564.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 48.6%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (3 842.9 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (5 582.0 ათასი ლარი) 68.8%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 12 292.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 994.3 ათასი ლარის) 72.3%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 19 885.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10 525.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 52.9%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 3 910.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 2 070.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 52.9%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრულია 8 047.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (4 660.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 57.9%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 223 696.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 150 045.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 67.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 4.1%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 27 856.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (21 670.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 77.8%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (52 279.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (75 660.4 ათასი ლარი) 69.1%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 30 927.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (61 677.0 ათასი ლარი) 50.1%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 44 414.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (57 456.3 ათასი ლარი) 77.3%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 56 704.4 ათასი ლარით, რაც 2008 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის – 77 716.7 ათასი ლარის 73%-ს შეადგენს. ვდასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (19 397.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (25 653.8 ათასი ლარი) 75.6%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (18 090.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (26 924.8 ათასი ლარი) 67.2%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 14 750.0 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (11 272.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 76.4%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 5 949.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 602.0 ათასი ლარი) 78.3%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 317 589.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 256 579.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80.8% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 199 507.4 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (233 932.3 ათასი ლარი) 85.3%; საშუალო ზოგადი განათლების დაფინანსების – 195 511.7

ათასი ლარი, რაც გეგმის (229 814.0 ათასი ლარი) 85.1%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 26 767.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (36 313.0 ათასი ლარი) 73.7%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2008 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 790 067.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 596 645.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 75.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 16.3%-ი. ავადყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 3 672.7 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (5 148.1 ათასი ლარი) 71.3%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 574 093.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 435 207.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 75.8%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 101 103.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (127 553.4 ათასი ლარი) 79.3%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 42 093.5 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (59 455.3 ათასი ლარი) 70.8%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 14 331.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 306.6 ათასი ლარი) 61.5%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2008 წლის ცხრა თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 17 882.5 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 32 შემთხვევაში შეადგინა 12 288.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10 410.9 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2008 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 1 877.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2008 წლის ცხრა თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 30 984.2 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 66 შემთხვევაში შეადგინა 21 946.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20 295.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2008 წლის პირველი აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 650.8 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვის გეგმა საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა 11 909.3 ათასი ლარით, ხოლო „საქართველოს

საბიუჯეტო კლასიფიკაციაში” შეტანილი ცვლილებების თანახმად „ვალდებულებების” მუხლიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11 819.6 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში გაწეული საკასო ხარჯები შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 1 445.1 ათასი ლარი (გეგმა – 1 445.1 ათასი ლარი); „ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის” დასაფინანსებლად მიიმართა 2.6 ათასი ლარი (გეგმა – 2.6 ათასი ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია”) მიიმართა 3 146.9 ათასი ლარი (გეგმა – 3 189.6 ათასი ლარი); საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის” – წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა – 86.3 ათასი ლარი (გეგმა – 133.3 ათასი ლარი), სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს დასაფინანსებლად – 1.1 ათასი ლარი (გეგმა – 1.1 ათასი ლარი); ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 3.1 ათასი ლარი (გეგმა – 3.1 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად (დახმარება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის (ე.წ. რეგრესიული პენსიები) – წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა) მიიმართა 166.3 ათასი ლარი (გეგმა – 166.3 ათასი ლარი); საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, ელექტროენერჯის ღირებულების კომპენსაციის დავალიანების დაფარვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 241.6 ათასი ლარი (გეგმა – 241.6 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოყვო 88.6 ათასი ლარი (გეგმა – 88.6 ათასი ლარი); საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ „სოფლის განვითარების პროექტის” – დასაფინანსებლად მიიმართა – 0.1 ათასი ლარი (გეგმა – 0.1 ათასი ლარი), ხოლო „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის „სამტრესტის” აპარატის დასაფინანსებლად – 0.9 ათასი ლარი (გეგმა – 0.9 ათასი ლარი); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის” – დასაფინანსებლად მიიმართა – 11.3 ათასი ლარი (გეგმა – 11.3 ათასი ლარი); საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის” – დასაფინანსებლად მიიმართა – 75.0 ათასი ლარი (გეგმა – 75.0 ათასი ლარი); საერთო სასამართლოების დასაფინანსებლად მიიმართა – 10.7 ათასი ლარი (გეგმა – 10.7 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაფინანსებლად – 3.3 ათასი ლარი (გეგმა – 3.3 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის” ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 6 515.7 ათასი ლარი (გეგმა – 6 515.7 ათასი ლარი), რაც გატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდეზ „ვალდებულებების” მუხლში.

2008 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.